

ზემო სვანეთის ლანდშაფტურ-ეკოლოგიური ანალიზი ბუნებათსარგებლობის შეფასებისთვის

თამარ ხარძიანი

ელ.ფოსტა: tamari.khardziani623@ens.tsu.edu.ge

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 0179 ჭავჭავაძის #3, თბილისი

ლანდშაფტების ეკოლოგია ახალგაზრდა დარგია, რომელიც სისტემაში - „ბუნება-საზოგადოება“ - არსებულ პრობლემებს განიხილავს ჰოლისტური მიდგომით და შეიმუშავებს ექსპერიმენტულ სისტემებს, რომელთაც უნდა უზრუნველყონ ბუნებათსარგებლობის მდგრადი განვითარება და ბუნებრივი სისტემების დაცვა-შენარჩუნება და ახდენს მათ მოდელირებას. ლანდშაფტების ეკოლოგიაში ერთ-ერთი ცენტრალური საკითხია კვლევის მასშტაბი, ვინაიდან მასზეა დამოკიდებული კვლევის ხარისხი და მიღებული სამეცნიერო, თუ პრაქტიკული შედეგები. თავად ცნება „ლანდშაფტი“ არ მიგვითითებს განსაზღვრული სიდიდის არეალზე, ამიტომ შემუშავებულია საკლასიფიკაციო სქემები, რომლებიც უზრუნველყოფენ ლანდშაფტების სხვადასხვა დონეზე შესწავლას.

კვლევის მიზანია, სხვადასხვა ტიპოლოგიური ერთეულის დონეზე (ლანდშაფტის გვარი, სახე და ურანგო ერთეულები) ჩატარდეს ზემო სვანეთის ლანდშაფტურ-ეკოლოგიური ანალიზი და მათ საფუძველზე შემუშავდეს რეგიონის მდგრადი ბუნებათსარგებლობის მოდელები. თუკი გავითვალისწინებთ რეგიონის მიმართ მზარდ ინტერესს ეკონომიკური ათვისების კუთხით, აქ არსებული ლანდშაფტების ეკოლოგიურ და გაერემოსდაცვით მნიშვნელობას, მიწის რესურსების სიმწირესა და აქტიურ გეოდინამიკურ პროცესებს, მაშინ აშკარა ხდება მსგავსი შინაარსის კვლევის რელევანტურობა და დროულობა.

კვლევის შინაარსი ეხმიანება თანამედროვე გამოწვევებს და შესაბამისობაში მოდის ლანდშაფტების ეკოლოგიის ძირითად მიმართულებებთან. კვლევაში გამოიყენება სავსე ლანდშაფტური კარტოგრაფირების მეთოდი, რაც გულისხმობს ლანდშაფტის ტიპოლოგიური და მორფოლოგიური ერთეულების დიფერენცირებას, შეფასებას და რუკათშედგენას. გარდა ამისა გამოიყენება აეროვიზუალური მეთოდი და GIS-ები.

ამ ეტაპზე, მომზადებულია ლანდშაფტური საფუძვლები. ლანდშაფტის გვარების და სახეების დონეზე გამოყოფილია ბუნებათსარგებლობის ზონები. გარდა ამისა სახეების დონეზე განისაზღვრა გეომორფოლოგიური და გეოდინამიკური პროცესები, ტყის ტიპები, მცენარეული საფარი, ლანდშაფტების ანთროპოგენული ტრანსფორმაცია, ლანდშაფტების ეკოლოგიური მნიშვნელობა, ტყის რესურსული პოტენციალი, მიწის ფონდი, ლანდშაფტების ტურისტულ-რეკრეაციული მნიშვნელობა და ა. შ.

დაგეგმილია ბუნებათსარგებლობის ზონირება ლანდშაფტის ურანგო ერთეულების დონეზე, მდგრადობის მოდელის შედგენა და შედეგების ანალიზი. ამგვარ მასშტაბში კვლების ჩატარება ზრდის მის პრაქტიკულ მნიშვნელობას და მრავალმხრივი გამოყენების შესაძლებლობას. სხვადასხვა კვლევით მასშტაბში საკითხის შესწავლას კი გარდა პრაქტიკულისა, თეორიული მნიშვნელობაც გააჩნია.